

მომლოცველობის სიმბოლური ანალიზისათვის აღმოსავლეთსა და
დასავლეთში
გიორგი მელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები(ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების
ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო აბაკელია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალას
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის გიორგი მელაძის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი მელაძე

2017

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის – *მომლოცველობის სიმბოლური ანალიზისათვის დასავლეთსა და აღმოსავლეთში* – მიზანია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებისათვის და, აგრეთვე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მყოფი საქართველოსთვის დამახასიათებელი მომლოცველობის ტრადიციების ჩვენება და შედარება, რამდენადაც ეს უკანასკნელი აღნიშნული ორი დაპირისპირებული სამყაროს სიმბოლური შეხვედრის ადგილად მოიაზრება.

კვლევის ობიექტი საკრათი დამუხტული მომლოცველობაა, როგორც რელიგიური აქტივობა ორ განსხვავებულ (ქრისტიანულ და მუსლიმურ) კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში.

შედარებითი მეთოდისა და ვიქტორ და ედით ტერნერების თეორიაზე დაყრდნობით, ნაშრომში გამოვლენილია რელიგიური მომლოცველობის ძირითადი მახასიათებლები, განსხვავება-მსაგვსებანი, ფორმები და სპეციფიკური სიმბოლური მოდელები ორ პოლარულ კულტურულ კონტექსტში.

ეს განსხვავება ჩანს მოტივაციაში, სხვადასხვა ელემენტში მაგ. სამოსში, მოსალოც ადგილებში, საკვების მიღებაში (შერჩევაში), ზოგადად ქცევაში, მსხვერპლშეწირვის აუცილებლობაში და სხვა სპეციალური რიტუალის შესრულებაში.

ტრანექტორიის განხილვა, რომელსაც პილიგრიმოზა როგორც მოვლენა გადის ორ საპირისპირო კონფესიაში გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

ორივე კულტურაში ხდება საკრალური ადგილების მოხილვა, თუმცა განსხვავებული მოტივაციებით.

ორივე შემთხვევაში ის, როგორც ინსტიტუციონალური კონსტრუქტი რელიგიის ჩასახვიდან მალევე ჩნდება.

ქრისტიანის მოტივაცია მომავალი ცხოვნება და ხშირად განკურნებაა, დრო აღთქმაზე და თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული; მუსლიმისთვის პილიგრიმოზა წმინდა მოვალეობაა, ვალია (თუმცა ამან ოჯახი ეკონომიკურად არ უნდა დააზიანოს) და პილიგრიმოზის დრო განსაზღვრულია და სხვ.

განხილული პილიგრიმობის ტრადიციის აღწერით, კლასიფიკაციით და ანალიზით თვალსაჩინო გახდა, თუ როგორ მიმდინარეობდა პილიგრიმობის პროცესი შუა საუკუნეებში; კვლევამ აჩვენა ის მსგავსება-განსხვავებანი, რომლებიც არის ამ ორი სამყაროს მომლოცველობის ტრადიციებს შორის. თუ როგორ გაიარა თითოეულმა განვითარების სხვადასხვა საფეხური, როგორ ჩამოყალიბდა მოსალოცად წასვლის ტრადიციები და თანდათან როგორ გადაიქცა მომლოცველობა კომპლექსურ რელიგიურ მოდელად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პილიგრიმობა/ მომლოცველობა, ზღვრული პერიოდი, ქრისტიანობა, ისლამი, საკრალური ადგილები, სამოსი , საკვები.

Abstract

The Master's theses—*Concerning the symbolic analyzes of pilgrimage in the West and East*—aims to show and compare specific pilgrimage traditions in Western and Eastern worlds and Georgia being at a crossroad between them, symbolizing a pattern of possible meetings between opposed realms, opposed worlds.

The objective of the study is pilgrimage as a religious activity charged with *sacra* in two polar (Christian and Muslim) cultural and historical contexts.

Using Comparative method and based on Victor and Edith Ternes' theory on pilgrimage, the study reveals the main characteristics, similarities and differences, specific symbolic forms and patterns inside these diverse, distinct cultural contexts.

Diversity is traced and attested in motivation, different elements such as clothing, pilgrimage places, and choice of food, general behavior, the obligation to sacrifice and in the performance of other rituals.

Discussion of the trajectory that pilgrimage as a social phenomenon underwent, enabled us to make some conclusions:

In both cultures sacred places were visited, though with different motivations.

In both cases pilgrimage as an institutionalized construct occurred soon after the establishment of the corresponding religion.

Christians motivation of pilgrimage was the forthcoming salvation and often healing. The time of its performance depended on the free will and a vow.

For Muslims pilgrimage was a holy obligation, it was a debt (though it should not damage the family economically). The time for pilgrimage was definite, etc.

Description, classification and analysis of pilgrimage displayed how pilgrimage as a *liminal* process was performed during Medieval Ages; the study revealed the similarities and differences inside these two distinct pilgrimage traditions. It showed the different paths of their development, their specific pilgrimage traditions, which gradually transformed into a complex religious pattern.

Keywords: pilgrimage, liminal period, Christianity, Islam, sacred places, clothing, food.